რუსუდან თედორაძე

ბუნებისმეტყველების კონსულტანტი

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი ბუნებისმეტყველებაში:

კვლევის უნარების განვითარების ხელშეწყობა მარტივი ცდების მეშვეობით

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს და აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

საგაკვეთილო პროცესში პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობას მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სკოლებში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების არქონით ხსნის,რაც ხშირ შემთხვევაში არაა რეალობას მოკლებული.

საჭიროებიდან გამომდინარე და მოცემული რეალობის გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისათვის

მასტერ-კლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან როგორ გამოიყენონ ექსპერიმენტის ფართო შესაძლებლობა მოსწავლეთა მოტივაციისათვის
- მონაწილეებს საშუალება ექნებათ პრაქტიკულად განახორციელონ მარტივი ექსპერიმენტები,რომლებიც არ მოითხოვს სპეციალურ აღჭურვილობას და ფინანსურ დანახარჯებს
- გაეცნობიან და პრაქტიკულად განახორციელებენ ექსპერიმენტის/ცდის შეფასების სქემების/რუბრიკებისა და დაკვირვების ოქმების შედგენას.
- მონაწილეები მიიღებენ რეკომენდაციებს მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

მასტერ-კლასის მიზნობრივი ჯგუფი: ბუნებისმეტყველების მოქმედი პედაგოგებისთვის.

მონაწილეთა რაოდენობა: 25 პედაგოგი.